ხელშეკრულება №37

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

19 დეკემბერი 2016 წ.

სოფ.ძირულა

ერთის მხრივ, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირულის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დარეჯან სხირტლაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯიბე“ , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ხაბელაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ვაუჩერული დაფინანსებით შოკოლადისა და ტკბილეულის (CPV:15800000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 149.77 (ასორმოცდაცხრა და 77) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. ზესტაფონი, სოფ. ძირულა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდეგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირულის საჯარო სკოლა ს/კ 230078377 მის: ქ. ზესტაფონი, სოფ. ძირულა ტელ: 577-31-98-56 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE22LB0121154655892000 დირექტორი: დარეჯან სხირტლაძე (ხელმოწერა)	შპს „ჯიბე" ს/კ 206335223 მის.: ზესტაფონი ჭანტურიას 42 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCGE22 ა/ა GE83TB7918136020100002 დირექტორი : გიორგი ხაჟალია (ხელმოწერა)

Zestafoni Municipality Village Zeiruli Zeiruli Public School 230078377
LTD "JIBE" GEORGI KHAJALIA 206335223

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია: CPV15800000

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	კანფეტი "აზორიკა", არაქისის გემო, 1,3 კგ/ყ	კგ.	3.1680	8.9500	28.3600
2	ჯეკი (4კგ)	კგ.	2.1400	6.5000	13.9100
3	1305 რაფაელო T 15*6	ცალი	1	6.5500	6.5500
5	კონფეტი მალენკოე ჩუდო ქოქოსით 1 კგ*4 ც	ცალი	1.0000	13.3000	13.3000
6	კარამელი რძით (5კგ)	კგ.	0.4700	4.5100	2.1200
7	კარამელის კამფეტი მუ-მუ 5კგ	კგ.	0.4200	4.5000	1.8900
8	კარამელი ნაღებით 5კგ	კგ.	0.4020	4.5000	1.8100
9	კარამელი "ოქროს ჩიტუნა"(5კგ)	კგ.	0.4140	4.4900	1.8600
10	ა/გ თხილს (2ც) + ა/გ ქიშმიშით (1ც) აქცია შოკოლადის ფილა	ცალი	6.0000	3.7700	22.6200
11	კანფეტი "ბარიტონი", ნაღების გემო, 2 კგ	კგ.	0.7180	10.1900	7.3200
12	შოკოლადი ტანგო პერეკრუტი 5ც-1კგიანი შეფუთვა	კგ.	03800	9.7100	3.6900
13	ტანგო როკი (შოკ.ნუგა და კარამელი) 1კგ*5ც	კგ.	04620	9.6800	4.4700
14	მონ ამი სო ვკუსომ კრემ-ბრულე 1/2	კგ.	0.1880	10.8500	2.0400
15	შოკოლადი სვიტ პერეკრუტი 5ც - 1ც	კგ.	0.2660	9.7000	2.5800
16	მონ ამი სო ვკუსომ სლივოჩნო-ვანილნიმ 1/2	კგ.	0.2540	10.8700	2.7600
17	შოკოლადი ტანგო კოკო პერ/ნუგა და ქოქოსი/5ც-1კგიანი შეფუთვა	კგ.	0.4320	9.7000	4.1900
18	შოკოლადი მარმელადი შოკოლადში (6კგ)	კგ.	1.4680	8.0000	11.7400
19	პეჩენია ჯემით	კგ.	3.2900	4.0000	13.1600
20	კანფეტი ''პარიჟანკა ვანილის და ნაღების არომატით'' 1 კგ	ცალი	1.0000	5.4000	5.4000
სულ ღირებულება					149.77

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირულის საჯარო სკოლის დირექტორი /დარეჯან სხირტლაძე/

შპს „ჯიბე"-ის დირექტორი /გიორგი ხაბელაშვილი/

მიღება-ჩაბარების აქტი

27 დეკემბერი 2016 წ

სოფ.ძირულა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირულის საჯარო სკოლა (შემდგომში-შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის, დარეჯან სხირტლაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს - „ჯიბე" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ხაბელაშვილის** სახით, ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო 2016 წლის 19 დეკემბერს დადებული N37 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 149.77 ლარს.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირულის საჯარო სკოლა ს/კ 230078377 მის: ქ. ზესტაფონი, სოფ. ძირულა ტელ: 577-31-98-56 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE22LB0121154655892000 დირექტორი: დარეჯან სხირტლაძე (ხელმოწერა)	შპს „ჯიბე" ს/კ 206335223 მის.: ზესტაფონი ჭანტურიას 42 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCGE22 ა/ა GE83TB7918136020100002 დირექტორი : გიორგი ხაბელაშვილი (ხელმოწერა)